ნაწილი I

ბიზნესის კვლევის კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლები

მერაბ ვანიშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: merabvanishvili@yahoo.com
მედეა ჭელიძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ვალერი მოსიაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნინო ხიდირბეგიშვილი
ასისტენტ პროფესორი

სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელოს შინაარსი ლოგიკურად ვითარდება კვლევის კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლებიდან კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტებამდე, რათა სტუდენტები ფუნდამენტურად ჩაწვდნენ ბიზნესის კვლევის მეთოდებს, დაეუფლონ მათი პრაქტიკაში გამოყენების სპეციფიკურ საკითხებს.

სახელმძღვანელოს 1-ელი ნაწილი გვაცნობს ბიზნესის კვლევის საგანსა და ამოცანებს (მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტურ წანამძღვრებს და კომპონენტებს, ბიზნეს-რეალობას როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტს, რიტორიკის ადგილსა და როლს ბიზნესის კვლევაში), ბიზნესის კვლევის კონცეპტუალურ საფუძვლებს (კვლევის არსსა და საბაზისო ელემენტებს, კვლევების კლასიფიკაციის პრინციპებს, კვლევისათვის საჭირო ძირითად მოთხოვნებსა და სტანდარტებს), ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს (კვლევის მეთოდოლოგიის საკვანძო ელემენტებს, კვლევის მეთოდების კლასიფიკაციას, კვლევის ორგანიზების პრინციპებს).

თავი 1

კურსის შესავალი: ბიზნესის კვლევის მეთოდების საგანი და ამოცანები

- **მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტური წანამძღვრები და კომპონენტები**
- **ბიზნეს-რეალობა როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტი**
- **რიტორიკის ადგილი და როლი ბიზნესის კვლევაში**
- **დასკვნა**
- **საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის**
- **საკონტროლო კითხვები და დავალებები**
- **საგამოცდო ტესტები**

მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტური წანამძღვრები და კომპონენტები

მეცნიერება ხშირად არასწორად არის გაგებული: ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ეკონომისტები, თვით მეცნიერები განსხვავებული მნიშვნელობით და განსხვავებული კონტექსტით იყენებენ ტერმინს „მეცნიერება". საზოგადოების ერთი ნაწილისათვის მეცნიერებას პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს, მეორე ნაწილისათვის მეცნიერება ნამდვილი ცოდნაა, მესამე ნაწილისათვის კი ეს ემპირიული ფენომენის ობიექტურ კვლევას ნიშნავს.

მეცნიერების საწყისი განსაზღვრა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ადამიანები ხშირად ერთმანეთში ურევენ მეცნიერების არსსა და მის მეთოდოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებას არ აქვს თავისი კონკრეტული თემა, ჩვენ ნებისმიერი ფენომენის ყოველგვარ კვლევას მეცნიერებად არ განვიხილავთ.

უფრო მეტიც, მეცნიერების შინაარსის დიდი ნაწილი მუდმივად იცვლება: ცოდნა, რომელიც მეცნიერულად მიიჩნევა დღეს, მომავალში შეიძლება არამეცნიერულად მოინათლოს. ტერმინი „მეცნიერება" ეხება არა ცოდნის რომელიმე ზოგად ან კონკრეტულ ნაწილს, არამედ მეთოდოლოგიას. ამ მიზეზთა გამო, ტერმინი „მეცნიერება" გამოიყენება მთელი იმ ცოდნის აღსანიშნავად, რომელიც მეცნიერული მეთოდოლოგიით არის მოპოვებული.

სიტყვა „მეცნიერება" ლათინური წარმოშო-

ბისაა და ქართულად ნიშნავს ცოდნას. მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანები ცოდნას განსხვავებული გზით იძენდნენ. მეცნიერული მიდგომა არ არის ერთადერთი მიდგომა, რომლითაც ადამიანებმა სცადეს ჩასწვდომოდნენ გარემოსა და საკუთარ თავს. სამი სხვა ზოგადი მიდგომაც ემსახურებოდა ცოდნის შეძენას[1]: (1) ავტორიტარული მოდელი; (2) მისტიკური მოდელი; (3) რაციონალისტური მოდელი[2].

ავტორიტატული მოდელის მიხედვით ადამიანები ცოდნას ეძიებენ იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც სოციალურად ან პოლიტიკურად ცოდნის მწარმოებლებად ითვლებიან. ესენი შეიძლება იყვნენ წინასწარმეტყველები გვაროვნულ საზოგადოებებში, არქიეპისკოპოსები თეოკრატიულ საზოგადოებებში (მაგალითად, მოლა თანამედროვე ირანში), მეფეები მონარქიულ საზოგადოებებში და მეცნიერები ტექნოკრატიულ საზოგადოებებში.

ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება სხვადასხვა ავტორიტეტს დაეყრდნონ განსხვავებული ფენომენის შესახებ ცოდნის მოსაპოვებლად. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ღვთისმოშიში კათოლიკეები, რომელთათვისაც პაპის ავტორიტეტი რელიგიურ საკითხებში შეუვალია. განსხვავებულ კონტექსტში, კულტურული რევოლუციისას ჩინეთში (დაიწყო 1965 წელს), მეთაურ მაო ძედუნსა და მის ცოლს იგივე ავტორიტეტი ჰქონდათ ცხოვრების ყოველ ასპექტში კონტინენტურ ჩინეთში. „მცირე წითელი წიგნი", სადაც შესულია მაოს აფორიზმები, ერთგვარი ბიბლიის როლს ასრულებდა იმასთან დაკავშირებით, რა იქნებოდა სწორი საქციელი ან ფიქრი. მოლა ამჟამინდელ ირანში კიდევ უფრო თანამედროვე მაგალითია.

ავტორიტარულ მოდელში არაპროფესიონალები ცოდნის წარმოების უნარს მიაწერენ სოციალურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ ავტორიტეტს. ავტორიტეტის პასუხის ბუნებაზე გავლენას ახდენს მანერა, რომლითაც არაპროფესიონალი მიმართავს ავტორიტეტს (ცერემონია), და არა მიმღების ნდობა პასუხისადმი. მათ, ვისაც ცოდნის მწარმოებლის ავტორიტეტის დისკრედიტირება ან დელეგიტიმიზაცია სურთ, განმეორებით უნდა უარყონ მათი მტკიცებები და წარმოადგინონ ცოდნის ახალი წყარო.

მისტიკური მოდელში ჭეშმარიტების მაძიებელნი ცოდნას იღებენ ზებუნებრივი ავტორიტეტებისაგან, წინასწარმეტყველებისაგან, მედიუმებისაგან. ამ თვალსაზრისით, მისტიკური მოდელი ავტორიტარული მოდელის მსგავსია. იგი განსხვავდება თავისი დამოკიდებულებით ზებუნებრივი მოვლენებისადმი და ცოდნის მომხმარებლის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობისადმი.

მისტიკური მოდელი დამოკიდებულია რიტუალური და ცერემონიული პროცედურების გამოყენებაზე. მაგალითად, წესჩვეულებები, რომლებიც ახლავს ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებას, მიზნად ისახავს არაპროფესიონალის, დილეტანტის დარწმუნებას ასტროლოგის ზებუნებრივ ძალებში. უფრო მეტიც, მძიმე დეპრესიის, უიმედობის, ინტოქსიკაციის პირობებში, ცოდნის მომხმარებელი ესწრაფვის იმ ცოდნის აღიარებას, რომელსაც მისტიკური მოდელი იძლევა. ნდობა ასეთი სახით მიღებული ცოდნისადმი მცირდება, რაც უფრო იზრდება უარყოფის რაოდენობა, იზრდება საზოგადოების განათლების დონე ან უმჯობესდება პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

რაციონალისტური მოდელის მიხედვით, ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით. რაციონალიზმის მთავარი დაშვებებია: (1) ადამიანის გონებას შეუძლია ჩასწვდეს სამყაროს მისი დაკვირვებადი ფენომენებისაგან დამოუკიდებლად და (2) ცოდნის ფორმები ჩვენი პიროვნული გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაციონალისტურ მოდელს საქმე აქვს იმასთან, რაც პრინციპში ჭეშმარიტი უნდა იყოს და რაც ლოგიკურად შესაძლებელი და დასაშვებია.

რაციონალისტისათვის, აბსტრაქტული ფორმალური ლოგიკა ის მოდელია, რომლის ერთგულნიც უნდა ვიყოთ, რათა მეცნიერულად ვიაზროვნოთ. ეს არის დახელოვნების მეცნიერება - მისი წესების მიყოლა საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ მეცნიერული მტკიცებები დაუსაბუთებელი მოსაზრებებისაგან. კლასიკური რაციონალისტების მიხედვით, ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ (ჩვ.წ-აღ-მდე 384-322) გამოიკვლია ლოგიკის სრული შინაარსი და ამდენად ცოდნისა და ჭეშმარიტების სტრუქტურა.

შეხედულება, რომ ცოდნა თავისთავად არსებობს და დამოუკიდებელია ადამიანის გამოცდილებისაგან, იყო გზა კლასიკური რაციონალიზმის პერიოდს მიღმა. რაციონალიზმის უკიდუ-

[1] ვრცლად იხ.: კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. პირველი ქართული გამოცემა / ჩავა ფრანკფორტნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბილისი, 2009, გვ. 24-26: https://sites.google.com/a/iliauni. edu.ge/iliaunibook/kvlevis-metodebi-sotsialur-metsnierebebshi

[2] მთავარი განსხვავება ამ მოდელებს შორის მდგომარეობს იმ გზებში, რითაც ისინი ირჩევენ: წყაროს ან ცოდნის მიღების ალბათობას; პროცედურას, რომლითაც ხდება ცოდნის მიღება; ეფექტს, რომელიც ამ ცოდნას აქვს.

რესი განსხეულება თანამედროვე მეცნიერებაში არის აბსტრაქტული, წმინდა მათემატიკა. წმინდა მათემატიკა შედგება მტკიცებებისაგან, რომლებიც უნივერსალურად სწორი, მკაფიო და დამოუკიდებელია ემპირიული სამყაროსაგან.

მაგალითად, წმინდა გეომეტრიის მტკიცებები აბსოლუტურად და ჭეშმარიტად მიიჩნევა. წმინდა გეომეტრია არაფერს ამბობს რეალობის შესახებ. მისი თეორემები ტავტოლოგიაა, ანუ ჭეშმარიტია მხოლოდ საკუთარი ლოგიკური ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მათემატიკა და ფორმალური ლოგიკა ბუნებრივი რამ არის მეცნიერული მიდგომისათვის, მათი ღირებულება სოციალური მეცნიერებისათვის არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან ნაყოფიერ პროგრესს საგნის მხრივ, ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც კომპლექსური საშუალებები მხოლოდ მაშინ და იქ, სადაც მათ დახმარება შეუძლიათ და არ შეაფერხებენ პროგრესს.

მეცნიერული მიდგომა ემყარება მრავალ საბაზისო დაშვებას, რომლებიც დაუმტკიცებელია. ეს ფუნდამენტური წანამძღვრები აუცილებელი პრერეკვიზიტებია მეცნიერული მსჯელობის წარმართვისათვის. ეპისტემოლოგია, ცოდნის საფუძვლების შესწავლა, ეხება ამ წანამძღვრების ბუნებას და იმას, თუ როგორ მუშაობენ ისინი. ამ საბაზისო დაშვებების შემოწმებით ჩვენ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ მეცნიერული მიდგომა და მისი უპირატესობა სხვა მიდგომებთან შედარებით:

1. ბუნება არის მოწესრიგებული. მეცნიერული მიდგომის საბაზისო დაშვება არის ის, რომ ბუნებრივ სამყაროში არსებობს აღქმადი სისტემურობა და წესრიგი. მოვლენები არ ხდება შემთხვევით. მკვეთრი ცვლილებების გარემოშიც კი მეცნიერები უშვებენ, რომ არსებობს წესრიგისა და სტრუქტურის ხარისხი და ცვლილებების ჩაწვდომა შესაძლებელია. ბუნების რაციონალისტური კონცეპტი არ ეხება ყოვლისშემძლე ან ზებუნებრივ ძალებს. მეცნიერებაში ბუნება მოიცავს ემპირიული დაკვირვებად საგნებს, მოვლენებს, პირობებს, რომლებიც ადამიანის ჩარევისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მოიცავს ადამიანებს, როგორც ბიოლოგიურ სისტემებს.

ბუნების კანონები კი არ განაპირობებს, არამედ უფრო აღწერს იმას, რაც რეალურად ხდება. ყოველ შემთხვევაში, წესრიგი და სისტემურობა ბუნებაში აუცილებლობით არ ახასიათებს ფენომენებს. მაგალითად, არ არსებობს ლოგიკურად ურყევი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა მოსდევდეს გაზაფხული ზამთარს, ზამთარი - შემოდგომას, შემოდგომა - ზაფხულს და ზაფხული - გაზაფხულს. მაგრამ, რამდენადაც ეს ასე ხდება და ხდება ასე სისტემურად, ჩათვლილია, რომ ასეთი სისტემურობა საფუძვლად უდევს სხვა დაკვირვებად ფენომენებს.

2. ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ბუნებას. დაშვება, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ბუნებას, არ არის უფრო ადვილად დამტკიცებადი, ვიდრე დაშვებები, რომ ბუნება მოწესრიგებულია და რომ ბუნების კანონები არსებობს. იგი გამოხატავს საბაზისო რწმენას, რომ ადამიანები ისევე არიან ბუნების ნაწილი, როგორც სხვა საგნები, პირობები, მოვლენები და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უნიკალურ და განსხვავებულ თავისებურებებს ვფლობთ, ჩვენი ბუნება შეიძლება გაგებულ და ახსნილ იქნას იმავე მეთოდებით, რითაც ვსწავლობთ სხვა ბუნებრივ ფენომენებს.

ინდივიდები და სოციალური ფენომენები ხასიათდება საკმარისი პერიოდულობით, მოწესრიგებულობით და ემპირიულად დემონსტრირებადი ნიმუშებით, რათა მეცნიერული კვლევის საგანი გახდეს. ადამიანის გონებას შეუძლია არა მარტო ჩაწვდეს ბუნებას, არამედშეიცნოს საკუთარი თავი და სხვათა აზროვნება.

3. ბუნების ყოველ ფენომენს ბუნებრივი მიზეზი აქვს. დაშვება, რომ ბუნების ყოველ ფენომენს ბუნებრივი საფუძველი აქვს, მეცნიერული რევოლუციის თვალსაჩინო მაგალითია. იმ რწმენის უარყოფით, რომ ბუნებაში მოქმედი ძალებისგან განსხვავებული ძალები იწვევენ ბუნებრივ მოვლენებს, მეცნიერული მიდგომა დაუპირისპირდა ფუნდამენტალისტურ რელიგიას, ასევე სპირიტუალიზმსა და მაგიას. უფრო მეტიც, სანამ მეცნიერები შეძლებენ ფენომენების აღწერას ბუნებრივი ტერმინებით, ისინი უარყოფენ არგუმენტს, რომ სხვა, ზებუნებრივი ახსნა არის საჭირო. ეს დაშვება წარმართავს მეცნიერულ კვლევას ზებუნებრივი, ყოვლისშემძლე ძალების ძიებისაგან ემპირიული სისტემურობისა და წესრიგის აღმოჩენისაკენ, რაც საფუძვლად უდევს ბუნებრივ ფენომენებს. ასეთ სისტემურობას შეუძლია დაადასტუროს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები.

4. არაფერია თვითდამადასტურებელი. მეცნიერული ცოდნა არ არის თვითდამადასტურებელი, პრეტენზია ჭეშმარიტებაზე ობიექტურად უნდა იყოს დემონსტრირებული. მეცნიერებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ მხოლოდ ტრადიციებს, სუბიექტურ რწმენებს და საერთო აზრს მეცნიერული ცოდნის დადასტურებისას. მეცნიერები უშვებენ, რომ ყოველთვის არსებობს შეცდომის შესაძლებლობა (ალბათობა) და ყველაზე მარტივი მტკიცებაც კი ობიექტურ დადასტურებას მოითხოვს. შესაბამისად, მეცნიერული აზროვნება სკეპტიკური და კრიტიკულია.

5. ცოდნა მომდინარეობს გამოცდილების შეძენიდან. იმისათვის, რომ მეცნიერება რეალური სამყაროს გაგებაში დაგვეხმაროს, იგი ემპირიული უნდა იყოს, დაეყრდნოს აღქმას, გამოცდილებას, დაკვირვებას. აღქმა მეცნიერული ფუნდამენტური პრინციპია მიდგომაში და ჩვენი გრძნობათა ორგანოებით მიიღწევა:

მეცნიერება უშვებს, რომ კომუნიკაცია ადამიანსა და გარე სამყაროს შორის განმტკიცებულია მისი გრძნობადი შთაბეჭდილებებით. ცოდნა ინდივიდის გამოცდილების პროდუქტია, რამდენადაც ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური სამყაროს მნიშვნელოვანი ასპექტები ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებს.

ყოველ შემთხვევაში, ცოდნა არ მოიპოვება მხოლოდ აღქმით, რომელიც ჩვენს ხუთ შეგრძნებას - შეხებას, ყნოსვას, გემოს, სმენასა და მხედველობას ემყარება. მრავალი მოვლენა პირდაპირ არ განიცდება და პირდაპირ ვერ დავაკვირდებით. დაკვირვება, როგორც მენტალური აქტივობა, არ არის „თვითდამადასტურებელი" ან მთლიანად მოწყვეტილი მეცნიერულ ცნებებს, კონცეპტებს, თეორიებს, რომელთაც მეცნიერები იყენებენ.

ისტორიულად, დაშვება, რომ მეცნიერული ცოდნა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ემპირიულ დაკვირვებას, იყო რეაქცია რწმენის წინააღმდეგ, რომ ცოდნა თანდაყოლილია ადამიანთათვის, და „წმინდა აზრი" თავისთავად საკმარისია დამტკიცებული ცოდნის მისაღებად.

6. ცოდნა სჯობს უმეცრებას. ეს დაშვება მჭიდრო კავშირშია დაშვებასთან, რომ ისევე შეგვიძლია საკუთარი თავის შეცნობა, როგორც ბუნებისა. ესაა რწმენა, რომ ცოდნა უნდა შევიძინოთ არა საკუთრივ ცოდნის გამო, არამედ ადამიანთა პირობების გაუმჯობესების გამოც. არგუმენტი, რომ ცოდნა სჯობს უმეცრებას, არ ნიშნავს იმას, რომ ბუნებაში ყველაფრის ცოდნა შესაძლებელია ან მომავალში გახდება ყოველივე ცნობილი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ცოდნა ზოგადად საცდელი ხასიათისაა და ცვალებადია. ის, რაც არ ვიცოდით წარსულში, ვიცით დღეს და არსებული ცოდნა შეიძლება შეიცვალოს მომავალში. ჭეშმარიტება მეცნიერებაში დაკავშირებულია სიცხადესთან, მეთოდებთან, თეორიებთან და ყოველთვის ღიაა მოდიფიცირებისათვის.

რწმენა, რომ შედარებითი ცოდნა უკეთესია, ვიდრე არცოდნა, დიამეტრულად განსხვავდება ეპისტემოლოგიისაგან, ცოდნის სისტემებისაგან, რომლებიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ემყარება. ნამდვილმა მორწმუნეებმა უკვე „იციან" ყველაფერი ის, რაც შეიძლება იცოდნენ. მეცნიერული ცოდნა საფრთხეს უქმნის ძველ ჩვეულებებს, სიმშვიდეს, სტაბილურობასა და სტატუს კვოს. ამის სანაცვლოდ, მეცნიერული მიდგომა გვთავაზობს ცვალებად, საცდელ ჭეშმარიტებას, რომელიც ცოდნის არსებულ მდგომარეობას ეხება.

მეცნიერული მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები ემყარება ჭეშმარიტების საცდელ და ფარდობით ბუნებას: ძლიერი მხარეა ის, რომ რაციონალური ადამიანი დროის ხანგრძლივ პერიოდში ასწორებს საკუთარ შეცდომებს, სისუსტეა ის, რომ მეცნიერები არ ენდობიან საკუთარი მტკიცებების სისწორეს და მეცნიერება ხშირად უმწეოა, როცა მის ბასტიონებს რწმენის აბსოლუტური სისტემების გულმოდგინე მიმდევრები უტევენ.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ მეცნიერების საბაზისო დაშვებები, შეგვიძლია გადავიდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორია მეცნიერული ცოდნის ძირითადი კომპონენტები.

ნებისმიერი (მათ შორის, ბიზნესის) მეცნიერების საბოლოო მიზანია დადასტურებული ცოდნის ჩამოყალიბება. ასეთი ცოდნა გვაძლევს ფაქტების ახსნის, პროგნოზების შემუშავების და ემპირიული ფენომენების გაგების საშუალებას, რომლებიც ჩვენი ინტერესის საგანია. შესაბამისად, მეცნიერული ცოდნის სამი ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა: მეცნიერული ახსნა, პროგნოზი და გაგება.

მეცნიერული ახსნა: ნებისმიერი მეცნიერის მიზანია პასუხის გაცემა კითხვაზე - „რატომ"? როდესაც მეცნიერები ითხოვენ იმის ახსნას, თუ რატომ აქვს ადგილი რაიმე მოვლენას ან ქცევას, ისინი ითხოვენ იმ წინამავალი ფაქტორების სისტემურ და ემპირიულ ანალიზს, რამაც გამოიწვია მოვლენა და ქცევა.

საგულისხმო ფაქტია, რომ იმ დროიდან, რაც შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა დევიდ იუმმა (1711-1776) წარმოადგინა თავისი თეორიები მეცნიერულ აზროვნებაზე, ტერმინის - „ახსნა" - გამოყენება გულისხმობს ასახსნელი ფენომენის ზოგადი კანონებით დაკავშირებას სხვა ფენომენებთან. ზოგადი კანონები ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, საიდანაც გამომდინარეობს კონკრეტული ახსნა.

რაც უფრო ვითარდება მეცნიერება, მით უფრო იცვლება მისი ახსნის ფორმები. სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყოფა მეცნიერული ახსნის ორი საბაზისო ტიპი - დედუქციური ახსნა და ალბათური (ინდუქციური) ახსნა. კლასიფიკაცია ემყარება განზოგადების იმ ტიპებს, რომელთაც ახსნა იყენებს.

დედუქციური ახსნა: დედუქციური ახსნა მოითხოვს: (ა) უნივერსალურ განზოგადებას; (ბ)ისეთ პირობებს, რომლის ფარგლებშიც განზოგადება ჭეშმარიტია; (გ) მოვლენის ახსნასა;

(დ) ფორმალური ლოგიკის წესების დაცვას. დედუქციურ ახსნაში კერძო ფენომენი ახსნილია იმის ჩვენებით, რომ იგი შეიძლება გამოვიყვანოთ დადგენილი ზოგადი კანონებიდან. მაგალითად, მეცნიერული ახსნა იმისა, რომ ჰაერში ასროლილი საგანი მიწას უბრუნდება, ემყარება გრავიტაციის კანონს. მეცნიერს შეუძლია დაადგინოს, რომ თუ საგნები განიცდიან ჭეშმარიტ ურთიერთმიზიდულობას, ნებისმიერი ცალკეული საგანი ასევე „მოიქცევა" დედამიწასთან მიმართებაში. ბუნებრივი მდგომარეობა უნივერსალური კანონისათვის არის ის, რომ იგი ყველა შემთხვევაში ერთნაირად მოქმედებს. დედუქციური მსჯელობისას წანამძღვარს აუცილებლად მივყავართ დასკვნამდე.

ალბათური (ინდუქციური) ახსნა: ყველა მეცნიერული ახსნა უნივერსალურ კანონებს როდი ემყარება. ეს განსაკუთრებით სოციალურ მეცნიერებებს (მათ შორის, ბიზნესის მეცნიერებასაც) ეხება, რომელთა ფარგლებში ძნელად თუ შეხვდებით უნივერსალურ განზოგადებებს. სოციალური მეცნიერებები (მათ შორის, ბიზნესის მეცნიერებაც) იყენებენ ალბათურ, ანუ ინდუქციურ ახსნას. მაგალითად, ბიზნესის სფეროში მოღვაწე მეცნიერმა შეიძლება საბანკო ბიზნესის მიერ მიღებული შემოსავლების შემცირება საქართველოში ახსნას არახელსაყრელი ეკონომიკური პირობებით, ვინაიდან წარსულში იყო შემთხვევა, როცა საბანკო სფეროს შემოსავლების შემცირება მოჰყვა მკაცრ ეკონომიკურ პირობებს. ეს ახსნა ასახსნელ ფენომენს უკავშირებს ადრეულ მოვლენას (ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას).

მეცნიერი აყენებს ასეთ ვარაუდს, ვინაიდან დადგენილია, რომ არსებობს კავშირი ეკონომიკურ მდგომარეობასა და საბანკო ბიზნესის მიერ მიღებულ შემოსავლებს შორის. კავშირი ვერ გამოიხატება კანონის უნივერსალური ფორმით, ვინაიდან ეკონომიკური სიდუხჭირის ყოველ შემთხვევას არ მოსდევს საბანკო სფეროს შემოსავლების შემცირება. მეცნიერს მხოლოდ შეუძლია ივარაუდოს, რომ არსებობს მაღალი ალბათობა, რომ მკაცრი ეკონომიკური პირობები გამოიწვევს საბანკო სფეროს შემოსავლების შემცირებას ან დაასკვნას, რომ უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება.

ამ ტიპის ზოგადი ახსნა წარმოადგენს ალბათურ ახსნას. ის გამომდინარეობს ალბათური განზოგადებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ალბათური ახსნა იყენებს განზოგადებას, რომელიც გამოხატავს არითმეტიკულ თანაფარდობას ფენომენებს შორის (ნ პროცენტი, ალბათობა იმისა, რომ X=Y) ან განზოგადებას, რომელიც გამოხატავს ტენდენციას (X-ს აქვს ტენდენცია გამოიწვიოს Y). ალბათური, ანუ ინდუქციური განზოგადების მთავარი ნაკლი უნივერსალურ კანონთან შედარებით არის ის, რომ დასკვნები კონკრეტული შემთხვევების შესახებ სრული დარწმუნებულობით არ გამომდინარეობს.

პროგნოზი: დედუქციური და ინდუქციური ახსნა მეცნიერული ცოდნის ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. პროგნოზი მეორე ასეთი კომპონენტია. სწორი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობა მეცნიერების აღიარებულ თავისებურებად არის მიჩნეული.

მოლოდინი, რომ მეცნიერულ ცოდნას ზუსტ პროგნოზამდე მივყავართ, ემყარება შემდეგ არგუმენტს: თუ ცნობილია, რომ X იწვევს Y-ს და სახეზე გვაქვს X, მაშინ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ Y-ის გამოჩენა. ამ არგუმენტს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ თუ უნივერსალური კანონი ან ალბათური განზოგადება არის ნაპოვნი და ვიცით, რომ ის არის ჭეშმარიტი (ანუ დაკმაყოფილებულია აუცილებელი წინაპირობები), მაშინ მიზეზები იმისა, რომ ვერ კეთდება ზუსტი პროგნოზი, შეიძლება იყოს შემდეგი: (1) რეალურად, კანონი ან განზოგადება არ არის ჭეშმარიტი ან (2) წინაპირობები არასწორადაა აღქმული. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ უმუშევრობის პრობლემა ვერ იჭრება, ეს ხდება ან იმიტომ, რომ განზოგადება, თითქოს დასაქმების პროგრამები ჭრის უმუშევრობის პრობლემას, არ არის ჭეშმარიტი, ან იმიტომ, რომ დასაქმების პროგრამები შეცდომით განისაზღვრა, როგორც აქტივობები, რომელთა მიზანია უმუშევრობის აღმოფხვრა.

თუ ახსნის დედუქციურ მოდელს გავიხსენებთ, პროგნოზირების პროცესი, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, არის ახსნის პროცესის საპირისპირო მხარე. პროგნოზირებისას წინამავალი დაკვირვებები უბრალოდ საწყისი პირობების არსებობას ავლენს. უნივერსალური კანონები ან ალბათური განზოგადება გამოიყენება პროგნოზის დასამტკიცებლად, რომ თუ არსებობს გარკვეული პირობები, მათ მოჰყვება კონკრეტული შედეგებიც.

გაგება: მეცნიერული ცოდნის მესამე კომპონენტი არის გაგება. ტერმინი „გაგება" ორი რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება: ემპათიური გაგება და პრედიქტული გაგება. ამ განსხვავებას ადგილი აქვს იმიტომ, რომ სოციალური მეცნიერებები (მათ შორის ბიზნესის მეცნიერებაც) ერთდროულად არიან დამკვირვებლებიც და მონაწილენიც თავისი დისციპლინის საგანში.

ემპათიური გაგების თანახმად, საბუნებისმეტყველო და სოციალური (მათ შორის, ბიზნე-

სის სფეროს) მეცნიერები კვლევის განსხვავებულ მეთოდებს უნდა იყენებდნენ. მაგალითად, სოციალურ (მათ შორის, ბიზნესის სფეროს) მეცნიერს უნდა ესმოდეს ადამიანის ქცევის როგორც ისტორიული განზომილება, ასევე ადამიანის გამოცდილების სუბიექტური ასპექტებიც.

პრედიქტული გაგების მიხედვით. სოციალურ (მათ შორის, ბიზნესის სფეროს) მეცნიერს შეუძლია მოგვცეს ობიექტური ცოდნა, როგორც სოციალური, ისე ბუნებრივი სამყაროს კვლევისას. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეუძლიათ ერთი და იგივე მეთოდები გამოიყენონ. უფრო მეტიც, ლოგიკური ემპირიკოსები ემპათიურ გაგებას განიხილავენ როგორც დამხმარე გზას აღმოჩენისაკენ. მაგრამ თუ გვსურს აღმოჩენის მეცნიერულ ცოდნასთან ინტეგრირება, ის, მათი აზრით, ემპირიული დაკვირვებებით უნდა დადასტურდეს.

დაბოლოს, მას შემდეგ, რაც განვიხილეთ მეცნიერული ცოდნის ძირითადი კომპონენტები, შეგვიძლია გადავიდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეკონომიკური (ბიზნეს) რეალობა როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტი და როგორია ბიზნესის კვლევის მეთოდები.

ბიზნეს - რეალობა როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტი

ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკურ (მათ შორის, ბიზნესის) მოვლენათა სამყაროს იკვლევს მრავალი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გამოვყოთ მასში ის განყოფილება, რომლის სახელწოდებაცაა „ეკონომიკური თეორია". ძალიან ხშირად ეკონომიკურ მეცნიერებას აიგივებენ ეკონომიკურ თეორიასთან, თუმცა ეს ერთი და იგივე როდია. ეკონომიკური თეორია შეადგენს ეკონომიკური მეცნიერების მხოლოდ ბირთვს, გულს, მაგრამ არ მოიცავს ეკონომიკური ცოდნის გამოყენებით და ემპირიულ განყოფილებებს.

ეკონომიკური თეორია - ეს არის ეკონომიკური მეცნიერების განყოფილება, რომელიც, წარმოადგენს რა განზოგადებული და რაციონალურად დასაბუთებული ცოდნის სისტემას, აღწერს, ხსნის და განჭვრეტს რეალური ეკონომიკური მოვლენებისა და ობიექტების სამყაროს ფუნქციონირებას.

ეკონომიკური თეორიის შიგნით გამოიყოფა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური თეორიები. პირველი იკვლევს ეკონომიკურ მოვლენებს დიდი მასშტაბით, როგორც წესი, ეროვნული და მსოფლიო მეურნეობის დონეზე, მეორე ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ ეკონომიკურ ერთეულზე - ფირმაზე, საოჯახო მეურნეობაზე და ა.შ.

ისტორიული მიმართულების ეკონომიკურ მეცნიერებებს მიაკუთვნებენ ეკონომიკურ ისტორიას და ეკონომიკური აზრის (ეკონომიკურ მოძღვრებათა) ისტორიას; ეროვნული მეურნეობის დარგების მართვაზე გამიზნული ეკონომიკური მეცნიერებებია: ლოჯისტიკა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ხალხთმოსახლეობისა და დემოგრაფიის ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის მართვა, მრეწველობის ეკონომიკა, აგრარული ეკონომიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა და სხვ.

არსებობს ფინანსებთან, ფულად მიმოქცევასთან, კრედიტთან და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მეცნიერებები: ფინანსების თეორია და მეთოდოლოგია, სადაზღვევო საქმე, საბანკო საქმე და კრედიტი და ა.შ. ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გამოყენებით ეკონომიკურ დისციპლინებს - ეკონომიკურ გეოგრაფიას, ეკონომიკურ სტატისტიკას, ეკონომიკურ მათემატიკას, საბუღალტრო საქმეს, აუდიტს და სხვ.

დაბოლოს, დარჩა ეკონომიკური ცოდნის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი განყოფილება, - ეკონომიკური მეთოდოლოგია[3], - რომლის ფარგლებშიც წარმოგვიდგენია „ბიზნესის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსი. აღნიშნულ კურსს, გასაგები მიზეზების გამო, არ შეუძლია მოიცვას ეკონომიკური მეთოდოლოგიის მთელი არსენალი. იგი ექვემდებარება გაცილებით უფრო კონკრეტულ ამოცანას: შეუქმნას სტუდენტებს წარმოდგენა ბიზნესის კვლევის ძირითად მეთოდებზე. მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ შეადგენს ეკონომიკური აზრის მთელი მეთოდოლოგიის მხოლოდ ნაწილს, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანსა და არსებითს.

„ბიზნესის კვლევის მეთოდების" კურსის ათვისება საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ ბიზნესის სინამდვილის კვლევის საკვანძო საშუალებებს და ვასწავლოთ სტუდენტებს მაქსიმალური სარგებლით გამოიყენონ ისინი თავი-

[3] ეკონომიკური მეთოდოლოგია (ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია) არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების კვლევაში. იგი შეისწავლის ეკონომიკური მეცნიერების მეთოდებს, და აგრეთვე იმას, თუ თუ როგორ ვითარდება მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ.

ანთ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ბიზნესის კვლევის მეთოდების შერჩევისას ყველაზე ანგარიშგასაწევი ფაქტორია ბიზნესის სფეროს აქტორი (მოქმედი პირი) და მშრალი ციფრების, ფორმულების და გრაფიკების მიღმა აუცილებლად უნდა დავინახოთ ადამიანი, მისი პიროვნება ცოცხალი წარმოსახვის უნარითა და ფანტაზიით, ასევე მოულოდნელი ქცევებისა და მოქმედებების ერთგვარი მისტიკური უნარით.

ბიზნესის სუბიექტის სამყაროსა და ბიზნესის მოვლენათა სამყაროს შორის არსებობს ბიზნესის ფაქტების სამყარო. ბიზნესის ფაქტები - ეს არის ბიზნესის მოვლენათა რაციონალური რეგისტრაცია და ინტერპრეტაცია შემმეცნებელი სუბიექტის აზროვნებაში, მოცემული აზრობრივი მასალის შემდგომი გადამუშავებით მეცნიერული ბიზნესის ფაქტების ერთობლიობად. მთლიანობაში კი ბიზნესის ფაქტები წარმოადგენენ სოციალური ფაქტების (მოვლენების ან მოქმედებების) ნაირსახეობას, რომელთაც უშუალოდ აკვირდება და აფიქსირებს სუბიექტი - ადამიანი, სოციალური ჯგუფი ან მთელი საზოგადოება.

თუმცა, სოციალური ფაქტი - ეს სოციალურ გარემოში არსებული ყოველგვარი მოვლენა როდია. არსებობს სხვა სახის ფაქტებიც - ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური და მექანიკურიც კი. ვთქვათ, მე თუ ავაგდე ჰაერში ქვა, რომელიც მიწაზე ეცემა - ესაა მექანიკური (ან ფიზიკური) ფაქტი, გამოწვეული საყოველთაო მიზიდულობის ძალით. მაგრამ, თუ ეს ქვა ვიღაცას თავში დაეცა და მან ტრავმა მიიღო, მაშინ მექანიკური ფაქტი გადაიქცევა სოციალურ ფაქტად - ე.ი. მოხდა დანაშაული, რომელსაც მოსდევს შესაბამისი იურიდიული და მორალური შედეგი.

პრინციპში, იგივე მიდგომა გამოიყენება ბიზნესის ფაქტების მიმართ. ბიზნესის ფაქტები - ეს არის სამეურნეო ცხოვრების მოვლენები, რომელთაც უშუალოდ აკვირდება და აფიქსირებს სუბიექტი, დამკვირვებელი. ბიზნესის ფაქტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სოციალური ფაქტი, რომელიც აფიქსირებს ბიზნესის ამა თუ იმ პროცესსა თუ მოვლენას.

ბიზნესის ფაქტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს შემდეგი: ა) სისრულე; ბ) შესადარისობა; გ) სარწმუნოება.

ფაქტების სისრულე გულისხმობს გამოსაკვლევი პროცესის სრულ მოცვას. შესადარისობის მოთხოვნა მოიცავს შესადარებელი ბიზნესის ფაქტების გამოკვლევას ერთგვაროვნების კუთხით, მაგალითად, არ შეიძლება გამონადნობი ფოლადის ტონათა ოდენობა შევადაროთ ფულში გამოხატულ ელექტროენერგიის ეკონომიას. ფაქტების სარწმუნოების მოთხოვნა - ეს არის საკვანძო საკითხი ბიზნესის ყველა ფაქტის ანალიზში. ზუსტად, სარწმუნოდ ითვლება ის სიდიდეები (ფაქტები), რომლებიც ასახავს მოვლენათა ნამდვილ ანუ ჭეშმარიტ ზომას. გაზომვის შედეგად მიღებულ სიდიდესა და ჭეშმარიტებად მიღებულ სიდიდეს შორის სხვაობა იწოდება შეცდომად ან ცოდვად[4].

ამა თუ იმ ბიზნესის ფაქტის არასარწმუნოების მიზეზები შესაძლოა დაკავშირებული იყოს: გაზომვის პროცედურების, მათემატიკური ან სტატისტიკური აპარატის არასრულყოფილებასთან, ამოსავალი ან საბოლოო შედეგების არასარწმუნო ინტერპრეტაციასთან, ბიზნესის ფაქტების შერჩევის შემთხვევითობასთან, ამა თუ იმ ფაქტისადმი არაკრიტიკულ მიდგომასთან და ა.შ.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ფაქტის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის იდეოლოგიურ (ფასეულობითმსოფლმხედველობრივ) პოზიციას და ამა თუ იმ ბიზნესის ფაქტის რაიმე „იდეოლოგიური ინტერპრეტაციის" ელემენტი ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, უჩინრად არსებობს თავად ფაქტში. მსგავსი ელემენტის დაძლევას ხელს უწყობს დიალოგი, დისკუსია, განსახილველი პრობლემის ლოგიკური აგების დაზუსტება.

ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა იმ ფაქტობრივი ცოდნის დასაბუთებულობის პრობლემა, რომელსაც ფლობს ბიზნესის მეცნიერება. სოციოლოგიური მეცნიერების ანალოგიურად, ბიზნესის მეცნიერებაში ფაქტობრივი ცოდნის დასაბუთებულობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას სამ დონეზე: მსოფლმხედველობრივად, თეორიულად და პროცედურულად[5].

მსოფლმხედველობრივი დონე გულისხმობს მთელი ბიზნესის ცოდნის ზოგად, ფუნდამენტურ დასაბუთებულობას. თუ ამ დონეზე ჭარბობს ილუზიები, დაბნეულობები, მაშინ ისინი გასდევს კვლევის მთელ შემდგომ ოპერაციებს.

[4] ვრცლად იხ.: Суслов И.П. Методология экономического исследования / отв. ред. К.К. Вальтух; ИЭОПП СО АН СССР. - 2-е изд., перераб. - М.: Экономика, 1983, с. 153: https://nsu.ru/xmlui/bitstream/handle/nsu/9602/M4-%D0%93%D0%BB%D0%B0%D0%B2%D0%B0%20IV.pdf?sequence=5&isAllowed=y

[5] ვრცლად იხ.: Орехов А. М. Методи экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009, с.31: http://institutiones.com/download/books/2651-metody-ekonomicheskix-issledovanii-orexov.html

მეორე დონე - თეორიული. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის თეორიის მდგომარეობასა და დამუშავებულობას, მის უნარს, სწორად მოახდინოს ბიზნესის ფაქტების ინტერპრეტირება და მათი ჩართვა თავის პრობლემურ არეალში. თუ, მაგალითად, ფაქტები სწორად არის ინტერპრეტირებული, მაგრამ თვით თეორია თავისი არსით მცდარია, მაშინ მიღებული თეორიული ცოდნა იქნება მცდარი.

მესამე დონე - პროცედურული. ამ დონეზე დასაბუთდება კვლევის პროცედურათა, ანუ ბიზნესის ცოდნის მიღების ხერხებისა და საშუალებების სისწორე. ეს არის ცოდნის სისტემა მეთოდებისა და ტექნიკური ხერხების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო და მდგრად ფაქტობრივ ცოდნას.

ბიზნესის ცოდნის დასაბუთების სამივე დონე (მსოფლმხედველობრივი, თეორიული და პროცედურული) ერთობლიობაში ქმნის ნებისმიერი ბიზნესის კვლევითი პროგრამის კონცეპტუალურ კარკასს, ანუ ბიზნესის პარადიგმას.

ახალი ცოდნის ფორმირება ეფუძნება კომუნიკაციური ურთიერთქმედების სხვადასხვა სახის გამოყენებას, რომელსაც, პირველ რიგში, მიეკუთვნება ზეპირი და წერილობითი სიტყვა, ბუნებრივი და ხელოვნური ენები. საქმიანობის სხვადასხვა (მათ შორის, ბიზნესის) სფეროში ადამიანებს შორის მეცნიერული ცოდნის გაცვლის პროცესში გამოიყენება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. მათ შორის, მნიშვნელოვან მეცნიერულ როლს თამაშობს ზეპირი და წერილობითი სიტყვის ფორმირებისა და აგების შესახებ დისციპლინები,რომელთაგან შესაძლებელია გამოვყოთ ტრადიციული რიტორიკა (bene dicendi Scientia – „მეცნიერება კარგი სიტყვის შესახებ").

რიტორიკის ადგილი და როლი ბიზნესის კვლევაში

რიტორიკა (ბერძნული rhetorike „ორატორული ხელოვნება") მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც სწავლობს კარგი სიტყვისა და ხარისხიანი ტექსტის შექმნის, გადმოცემისა და აღქმის კანონზომიერებებს. რიტორიკა, როგორც სისტემური დისციპლინა ჩამოყალიბდა ძველ საბერძნეთში, როდესაც ზეპირსიტყვიერ საჯარო გამოსვლებს უყენებდნენ მაღალ მოთხოვნებს. საჯარო გამოსვლის ხელოვნება ისწავლებოდა სოფისტების სკოლებში, რომელთა მთავარი ამოცანა იყო მჭევრმეტყველების პრაქტიკული სწავლება[6]. რიტორიკის თეორიტიკოსებად აღიარებულია კორაქსი, სოკრატე, არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანი.

ისტორიულად, რიტორიკის საგნისა და ამოცანის განმარტებაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება.

პირველი მიმართულების ფუძემდებლად გვევლინება სოკრატე (436-388 ჩვ.წ.აღ-მდე). იგი ითვლება „ლიტერატურული" რიტორიკის ფუძემდებლად, რომელიც უპირატეს ყურადღებას უთმობდა წერილობით სიტყვას და ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ორატორული ნაწარმოების კომპოზიციის ცნება. ამ მიმართულების წარმომადგენლები იხრებოდნენ კარგი, ესთეტური კანონებით შედგენილი სიტყვისაკენ. დამაჯერებლობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან, მაგრამ არა ერთადერთ და მთავარ კრიტერიუმს სიტყვის შეფასებისათვის.

მეორე მიმართულება მომდინარეობს არისტოტელედან (384-322 ჩვ.წ.აღ-მდე), რომელიც გამოყოფდა სიტყვის ღირსებებს ისეთი თვისებების მიხედვით, როგორიცაა: დამაჯერებლობა, მსმენელთა აღიარების მოპოვების უნარი (თანხმობა, სიმპატია, თანაგრძნობა), რომელიც აიძულებთ მათ იმოქმედონ გარკვეულად. არისტოტელე რიტორიკას განმარტავდა, როგორც „უნარს დარწმუნების შესაძლებლობების გამოძებნისა თითოეული მოცემული საგნის მიმართ". არისტოტელე გვევლინება რიტორიკის მეცნიერულ დისციპლინად გარდაქმნის ფუძემდებლად, რადგან სწორედ მის მიერ იქნა დადგენილი უწყვეტი კავშირი რიტორიკას, ლოგიკასა და დიალექტიკას შორის. რიტორიკისადმი მიძღვნილ ძირითად ნაშრომებში („რიტორიკა", „ტოპიკა" და „სოფისტური უარყოფის შესახებ"), არისტოტელემ მიუთითა რიტორიკის ადგილი ანტიკური მეცნიერების სისტემაში.

მოგვიანებით გაჩნდა ახალი მოთხოვნები ზეპირსიტყვიერების პრაქტიკისადმი, რაც განპი-

[6] მჭევრი სიტყვის ამოცანა წარმოადგენს მსმენელის, ან მკითხველის დარწმუნებას, ანდა მის წარმართვას გარკვეული ქმედებისკენ. რიტორიკა სიტყვის ხელოვნებაა, რომელსაც რეციპიენტზე ზემოქმედებისათვის საჭირო საშუალებები გააჩნია, რომელთა მოქნილი გამოყენებაც ქმნის გარკვე-ულ დამაჯერებლობას. რიტორიკა ითავსებს ორმაგ ფუნქციას იყოს მჭევრი სიტყვის ხელოვნებაცა და მეცნიერებაც. რიტორიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევები, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის შუა ხნიდან მოყოლებული, ძირითადად დაკავებულია საუბრისა და მეტყველების პედაგოგიკის საკითხებით. ეს კვლევები უმთავრესად საენათმეცნიერო ბაზისს ემყარება, და განიხილება ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და სოციოლოგიის მოძღვრებათა ინტერდისციპლინურ ჭრილში.

რობებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენით. გაძლიერდა „ლოგიკური" მიმართულების ზეგავლენა და ძველი რიტორიკის ნაცვლად მოგვევლინა ნეორიტორიკა. ამ პერიოდის დასაწყისს მიაკუთვნებენ საფრანგეთში ხ. პერელმანის და ლ. ოლბრეხტ-ტიტეკის ტრაქტატის „ახალი რიტორიკა, ტრაქტატი არგუმენტაციის შესახებ" გამოსვლას (1958), რომელშიც თანამედროვე მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილია არისტოტელეს რიტორიკული სისტემის კრიტიკა.

ტრაქტატის ავტორები იხილავდნენ ლოგიკის კავშირს არგუმენტაციასთან, აუდიტორიის, დიალოგის, არაერთგვაროვნების, პრეზუმპციის, ნორმატიულობის, არგუმენტაციის შეცდომების ცნებებს; ახარისხებდნენ არგუმენტებს და დეტალურად აანალიზებდნენ ცალკეულ კატეგორიებს. ნეორიტორიკა არ უარყოფს შედეგებს, რომლებიც მიღებული იქნა „ლიტერატურული" მიმართულების ნაკადში, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ „ლოგიკური" და „ლიტერატურული" მიმართულებების ურთიერთგამდიდრებაზე, პირველის დომინირების პირობებში.

„ლოგიკური" მიმართულების თვალსაზრისით, რიტორიკა წარმოადგენს მეცნიერებას მეთოდების, წესების, დარწმუნების ფორმების და აუდიტორიაზე ენით ზემოქმედების პრინციპების, ეფექტური კომუნიკაციის არსის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღებას.

„ლიტერატურულ" მიმართულებაში რიტორიკა გვევლინება ფილოსოფიურ დისციპლინად, რომელიც მიმართულია მხატვრული მეტყველების (უპირველეს ყოვლისა, პროზაიკულ და ზეპირი) აგების მეთოდების შესწავლაზე და ახლო შეხებაშია პოეტიკასა და სტილისტიკასთან.

ტრადიციულად, განარჩევენ ზოგად და კერძო რიტორიკას. ზოგადი რიტორიკა წარმოადგენს მეცნიერებას კარგი სიტყვის აგების უნივერსალური პრინციპებისა და წესების შესახებ, რომელიც არ არის დამოკიდებული სიტყვიერი კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროზე. კერძო რიტორიკა განიხილავს ცალკეული სახის სიტყვიერი კომუნიკაციის თავისებურებებს კომუნიკაციის პირობებთან, მეტყველების ფუნქციებთან და ადამიანის საქმიანობის სფეროებთან კავშირში.

შესაძლებელია რიტორიკა დავყოთ: თეორიულ, გამოყენებით და თემატურ რიტორიკად. თეორიული რიტორიკის ამოცანას წარმოადგენს ხარისხიანი სიტყვის აგების წესების კვლევა. გამოყენებითი რიტორიკა ორიენტირებულია ზეპირი სიტყვის წესების, კანონზომიერებების და ნიმუშების გამოყენებასა და გავრცელებაზე, რომლებიც გამოვლინდება თეორიული კვლევისას და ზეპირმეტყველების სწავლების პრაქტიკაში. თეორიული და გამოყენებითი რიტორიკა სამეცნიერო და სასწავლო რიტორიკის მსგავსია. თემატური რიტორიკა განიხილავს სხვადასხვა სახის მეტყველების გაერთიანებას ერთი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ[7].

რიტორიკის კანონები - სიტყვის რიტორიკული დამუშავების წესები: რიტორიკის კანონები ანუ წესები ვარაუდობს სიტყვის რიტორიკული დამუშავების დადგენილი ეტაპებისა და ნაწილების არსებობას. მათი შემადგენლობა დადგენილი იქნა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და საუკუნეების მანძილზე არსებითი ცვლილებები არ განუცდია. მე-20 საუკუნის ნეორიტორიკაში შეიცვალა მხოლოდ კანონის ცალკეული ელემენტებისადმი დათმობილი კვლევითი ყურადღების მოცულობა.

რიტორიკის კლასიკური კანონი ხუთი ნაწილისაგან შედგება და თითოეული მათგანი ასახავს სიტყვის აგების გარკვეულ ეტაპს.

ინვენცია (invention) - „გამოგონება" ანუ იმის მოძებნა, თუ რა უნდა ითქვას. ინვენცია ეყრდნობა დარწმუნებისათვის მასალების მოძიებას, საკვლევი თემის განსაზღვრას, მის გახსნასა და შეცნობას, არგუმენტების ფორმულირებას დასაცავი თეზისის სასარგებლოდ. მასალის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია ავტორის საკომუნიკაციო განზრახვა და იმ აუდიტორიის ბუნება, რომელსაც ავტორი მიმართავს.

დისპოზიცია (disposition) - მასალის განლაგება ანუ კომპოზიცია. ამ ეტაპზე განისაზღვრება მასალის განლაგება, მისი ქრონოლოგიური ანუ ლოგიკური თანმიმდევრობა. კანონს საფუძვლად უდევს მოძღვრება სიტყვის კომპოზიციის შესახებ, რომელიც ქმნის ბაზას ისეთი თანამედროვე დისციპლინებისა, როგორიცა მოძღვრება ლიტერატურული კომპოზიციის შესახებ და კომპოზიციის თეორია, როგორც ტექსტის თეორიის ნაწილი.

წარმოდგენილ მასალაში შესაძლებელია იყოს სამიდან (შესავალი - ძირითადი ნაწილი - დასკვნა) შვიდამდე (შესავალი - თემის განსაზღვრება მისი ქვედანაყოფებით - გადმოცემა - უკან დახევა - საკუთარი თეზისის არგუმენტაცია ან

7 ამის მაგალითს წარმოადგენს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების (პრეზიდენტის არჩევ-ნები), სპორტული ღონისძიებების (ოლიმპიადის) ან სხვა პრობლემის განხილვა, რომელიც ეხება ადამიანთა დიდ ჯგუფს ქვეყანაში ან მსოფლიოში.

მტკიცებულება - უარყოფა - დასკვნა) სტრუქტურული ერთეული, რაც განისაზღვრება მასალის მოცულობით, მისი ხასიათით და გადმოცემის მიზნით. უნდა ავღნიშნოთ,რომ ლიტერატურათმცოდნეობაში უფრო ხშირად გამოიყენება სხვა სახის ტერმინები; საწყისი - შეკვრა - კულმინაცია - გახსნა - დასასრული.

ელოკუცია (elocutio) - სიტყვიერი გამოხატვა ანუ დიქცია. რიტორიკის ნაწილს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლინგვისტურ პრობლემატიკასთან, წარმოადგენს კანონი - „სიტყვიერი გამოხატვა", რამდენადაც სწორედ აქ განიხილება კონკრეტული ენობრივი მასალის ორგანიზაცია, დაწყებული სიტყვების შერჩევით და ცალკეული წინადადებების სტრუქტურით დამთავრებული.

გადმოცემა ანუ სიტყვიერი გამოხატვა უნდა პასუხობდეს ოთხ კრიტერიუმს: სისწორეს (პასუხობდეს გრამატიკის წესებს, მართლწერისა და გამოთქმის ნორმებს), სიცხადეს (შედგება საერთოდ მიღებული და გასაგები სიტყვებისაგან, შესაძლებლობის ფარგლებში არ არის ჩართული აბსტრაქტული, ურთიერთ ჩამნაცვლებელი სხვა სიტყვები, რომლებიც შესაძლებელია გაუგებარი იყოს აუდიტორიისათვის), გამოთქმას (უნდა იყოს უფრო ესტეტიური, ვიდრე ყოველდღიური სიტყვა), და მიზანშეწონილობას (თემისა და ენობრივი საშუალებების ჰარმონია). „სიტყვიერი გამოხატულების" კანონის აღნიშნული კომპონენტები ქმნის სიტყვის კულტურის შესახებ თანამედროვე მეცნიერების საფუძველს.

მეხსიერება, დამახსოვრება (მემორიო) არის რიტორიკის განყოფილება, რომელიც რეკომენდაციას გვაძლევს, თუ უკეთ როგორ უნდა დავიმახსოვროთ გამოსასვლელი სიტყვა. ეს კანონი გათვალისწინებულია ორატორებისთვის, რომლთაგან მოითხოვება გამოსასვლელი სიტყვის დამახსოვრება. სამეცნიერო დისკუსიებში, მოხსენებებში, სამეცნიერო კვლევების შედეგების პრეზენტაციებში ამ კანონს აქვს ძალზე დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრება და არგუმენტირებული გადმოცემა.

შესრულება, წარმოთქმა (actio) ითვალისწინებს ორატორის უშუალო გამოსვლას მსმენელების წინაშე მომზადებული მოხსენებით, სიტყვით, პრეზენტაციით, სადაც ორატორის ხასიათი და სიტყვის შინაარსი ერთვის ერთმანეთს, როგორც ერთიანი მთლიანი. ასეთი გამოსვლის მიზანია ღირსეულად და ლამაზად წარმოაჩინოს საკუთარი აზრი და ჩანაფიქრი, გამოსვლა გახადოს დასამახსოვრებელი.

ტოპიკა, როგორც სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელების სისტემა: ტოპიკა (ბერძ. Topos - ადგილი) წარმოადგენს აზროვნებისა და გაგების სივრცობრივი ორგანიზაციის ტექნიკას, ასევე მის საფუძველზე ორგანიზებულ აზროვნების სივრცეს. ტოპიკას უწოდებენ აზროვნების ლოგიკას და სიტყვის აგების ლოგიკას.

ძველ ბერძნები და რომაელები ასე უწოდებდნენ მოძღვრებას რომელიმე თემის რიტორიკული გადმოცემის შესახებ, განსაკუთრებით საერთო მსჯელობისას (ბერძ. τόποι), რომელთაც დისკუსიისას, სიტყვით გამოსვლისას ხელი უნდა შეეწყო მიზანდასახული მოსაზრების არჩევისათვის. გრამატიკაში ტოპიკა არის მოძღვრება ადგილის შესახებ, რომელიც უნდა დაიკავოს ცალკეულმა სიტყვებმა წინადადებაში და ცალკეულმა წინადადებებმა მწკრივებში.

ცნების წარმოშობა მომდინარეობს ანტიკური ხანიდან. უძველესი ნაშრომები ტოპიკის შესახებ ეკუთვნის არისტოტელეს. „topika" არის მისი ნაშრომის - „organon" ერთ-ერთი წიგნი. ციცერონი ტოპიკის შესახებ წერდა თავის ნაშრომებში „De invention" და „Topica". არისტოტელეს ტოპიკა ეძღვნება ლოგიკური აზროვნების ორგანიზაციის საკითხებს კომუნიკაციურ სიტუაციებში: ზეპირი საუბრისას, ფილოსოფიური დისკუსიისას, ზოგიერთი თემის ზეპირსიტყვიერი გადმოცემისას და ა.შ.

ტოპიკა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს აზროვნებასა და სიტყვას შორის. იგი აყალიბებს აზრს და გვაძლევს სიტყვის ფორმირებისა და ადრესატამდე მისი დაყვანის პროცესის შეგნებულად ქცევის შესაძლებლობას. ტოპიკა უზრუნველყოფს არა მარტო აზროვნების სწორხაზოვან გადაადგილებას, არამედ გამონათქვამის მოცულობითობას, მის სიღრმეს, რადგან ასახავს კავშირს ობიექტებს შორის.

ტოპების განსაზღვრებათა მრავალფეროვნებას რიტორიკასა და ლინგვისტიკაში მივყავართ ორ პრინციპულ მიდგომასთან: ტოპები, როგორც „საერთო ადგილი" სიტყვის აგებისას; ტოპები, როგორც „აზრობრივი" მოდელი. პირველი თვალსაზრისი ითვლება საყოველთაოდ მიღებულად.

ტოპი (ბერძ. Topos - ადგილი) ან საერთო ადგილი (კალკა ბერძნულიდან koinoi topoi და ლათინურად loci communes) - აზრობრივი მოდელი, რომელიც ასახავს ადამიანის აზრობრივ საქმიანობას და აუცილებელია ამა თუ იმ თემის განვითარებისთვის. „ადგილებად" ისინი იქნენ დასახელებული ჭეშმარიტად იმიტომ, რომ ორატორის აზროვნებაში თემის თითოეულ ქვეგანყოფილებას მეტყველების ნაწარმოებში ჰქონ-

და თავისი მდგომარეობა, ანუ ადგილი, პოზიცია. გამომდინარე აქედან, მოდელმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გამოიხატოს ახალი იდეა, ახალი „ადგილი" მეტყველებაში, მიიღო სახელწოდება „ადგილი" (ტოპოსი, ინგლ. topic - სიტყვის თემა). „საერთო"-დ ეს აზრობრივი მოდელი წოდებული იქნა მისი განმაზოგადებელი, „მოდელური" ბუნების საფუძველზე.

ამრიგად, ტოპი (ტოპოსი) გაგებულია როგორც მენტალური კატეგორია, რომელიც გვევლინება იდეის „გამრავალფეროვნების" სტიმულად, რომელიც ხელს უწყობს მეტყველების ნაწარმოების აზრობრივი კარკასის შექმნას. ტოპიკა, როგორც მეცნიერება „საერთო ადგილების" და მათი გამოყენების წესების ერთობლიობის შესახებ, ასახავს ადამიანური აზროვნების ზოგად კანონებს. ტოპები, როგორც სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელები ობიექტური და დათვლადია; აზრი, რომლის საშუალებითაც ისინი გამოიხატება, სუბიექტური და დაუთვლადია. კონკრეტული გამონათქვამები ექვემდებარება ეთიკურ შეფასებას, ხოლო სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელები, რომლის მიხედვითაც ისინი აიგება, არ არსებობს, რამდენადაც უზრუნველყოფენ „მოსაუბრეთა ლოგიკას" კომუნიკაციის პროცესში და ემსახურებიან ურთიერთგაგების საერთო საფუძველს.

აზრობრივი მოდელი (რიტორიკული ტოპი) „განმარტება" საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ მეტყველების თემა. მეტყველების საგნის ზუსტი და არა ორაზროვანი განმარტება - გამჭვირვალე და თანმიმდევრულობა მსჯელობის გარდუვალი პირობაა. სწორედ ამიტომ მეტყველების საგნის განსაზღვრას ყოველთვის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სიტყვის მომზადების სტრუქტურაში და, ყველაზე ხშირად, მოსდევს შესავალს.

♦ მოცემული თემის განხილვის საგნად გვევლინება მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგია. ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა ეფუძნება მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრავს ცოდნის სხვადასხვა ფორმების მოზიდვის თანმიმდევრობას და საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ სამეცნიერო გამოკვლევის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა: ობიექტურობა, კვლავწარმოება, დასაბუთებულობა (ვერიფიკაცია) და მიღებული შედეგების სიზუსტე.

აზრობრივი მოდელი „სახელი" დაკავშირებულია სიტყვის შიდა ბრუნვის ფორმასთან, ამა თუ იმ სიტყვის (სახელის) წარმოშობასთან (ეტიმოლოგიასთან), რომელიც გამოყენებულია მოცემულ მეტყველებაში, ან სიტყვის მნიშვნელობის განხილვასთან, რომელიც აქტუალურია მოცემულ კონტექსტში მეტყველებითი ნაწარმოების ძირითადი აზრის ფორმირების თვალსაზრისით.

აზრობრივი მოდელი „ზოგადი - კერძო" საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მეტყველების საგანზე, მის ზოგად და კერძო მახასიათებლებზე. მოცემული თემის განვითარების ეს წესი ეფუძნება აზროვნების უნიკალურ კანონს, რომელიც ასახავს დედუქციურ (ზოგადიდან კერძოსკენ) და ინდუქციურ (კერძოდან ზოგადისკენ) ურთიერთობებს ცნებებს შორის. ამრიგად, მოცემული მოდელი აქტუალიზაციას ღებულობს მეტყველების თემის ზოგად ცნებამდე მიყვანით, ხოლო შემდეგ ვადგენთ კერძო თავისებურებებს.

♦ ზოგადი ცნების სახით მოცემულ თემაში განიხილება მეთოდოლოგია, როგორც რაიმე რეალობის შესწავლის წესი. თავისი შინაარსით იგი მრავალვარიანტული და მრავალგანზომილებიანია და მოიცავს მრავალ ასპექტს და შემადგენელ ნაწილს, რომლებიც შესაძლებელია განხილული იქნეს კერძო ცნებებად. „ზოგადი - კერძო" აზრობრივი მოდელის მაგალითს წარმოადგენს მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია, ცოდნის ამა თუ იმ სფეროს კუთვნილების მიხედვით მისი დაყოფით, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ისეთი სახეები, როგორიცაა: ფილოსოფიური მეთოდოლოგია, ისტორიული მეთოდოლოგია, ეკონომიკური მეთოდოლოგია და ა.შ. სხვა მაგალითია - ამ მეთოდოლოგიის სამ დონედ დაყოფა კუთვნილების მიხედვით: საყოველთაო, ზოგადი, კერძო.

აზრობრივი მოდელი „მთლიანი - ნაწილი" გვთავაზობს მეტყველების საგანი განვიხილოთ, როგორც მისი შემადგენელი კონკრეტული ნაწილების და ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც შესაძლებელია ავღწეროთ სათითაოდ. მეტყველებაში ცნების დანაწევრება ასახავს აზროვნების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი. მთლიანის დაყოფა ნაწილებად რთული აზრობრივი ოპერაციაა, რომელიც დემონსტრირებას უკეთებს მოსაუბრის უნარს აღნიშნოს გარე სამყაროს „დეტალები". ამ დროს მეტყველების საგნის ნაწილების გამოყოფა ექვემდებარება ორ პრინციპს: 1) ფუნქციონალურობა და 2) დიფერენციაცია. პირველი გვთავაზობს მხოლოდ იმ ნაწილების გამოყო-

ფას, რომელნიც უზრუნველყოფენ საგნის ფუნქციონალურობას. მეორე პრინციპი მოითხოვს მხოლოდ იმ ელემენტების აღნიშვნას, რომლებიც გამოარჩევს ობიექტს სხვა მსგავსი ობიექტებისაგან.

♦ მოცემული აზრობრივი მოდელის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია გავაანალიზოთ, მაგალითად, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. დარგების გამოყოფა ხორციელდება ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორიცაა საქმიანობის სახეები, წარმოებაში გამოყენებული ნედლეული და მასალები, მზა პროდუქციის ასორტიმენტი.

აზრობრივი მოდელი „თვისება" მოიცავს ერთმანეთთან ახლო მდგომ აზრობრივ მოდელებს: საგნის თვისებები, მისი ხარისხი, ფუნქცია, მისი მახასიათებელი ქმედებები. ამ ტიპის სწორი გამოყენება გულისხმობს შესაძლებლობას გამოიყოს საკვლევი ობიექტის არსებითი და სპეციფიკური მახასიათებელი თვისებები, ფუნქციები, ხარისხი და გამოიხატოს საკუთარი აზრი, საკუთარი შეფასება.

აზრობრივი მოდელი - „თვისება" გამოიყენება იმ სამეცნიერო მეთოდების დახასიათებისას, რომელთა მახასიათებელი თვისებებია: სიმკაცრე, ერთმნიშვნელოვანება, ეფექტიანობა, სიმარტივე, ევრისტიკულობა.

სამეცნიერო მეთოდის სიმკაცრეში იგულისხმება მისი რაციონალურობა, დასაბუთებულობა, თეორიული აგებულების ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობა. შიდა თანმიმდევრულობა, თეორიაში არსებულ მტკიცებულებათა აზრობრივი შესაბამისობა ახასიათებს სამეცნიერო მეთოდის ერთმნიშვნელოვანებას. სამეცნიერო მეთოდის ეფექტიანობა განისაზღვრება რამოდენიმე ნაბიჯის შედეგად პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობით. სამეცნიერო მეთოდის სიმარტივე არის სამეცნიერო შედეგის მიღწევა მინიმალური ქმედებების შედეგად. სამეცნიერო მეთოდის ევრისტიკულობა გულისხმობს მის უნარს ახალი შედეგის (ცოდნის) მიღებისა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ან გავრცელებული იქნეს მოცემული მეცნიერების ახალ სფეროში ან ცოდნის სხვა სფეროებში.

აზრობრივი მოდელი „დაპირისპირება" წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან მოდელს აზროვნების და მეტყველების ორგანიზაციაში. უპირველეს ყოვლისა, მოცემული ტიპი გვეხმარება საკვლევი ობიექტი ვაჩვენოთ მისი შედარებით სხვა მსმენელისთვის უკვე ნაცნობ, ან უფრო თვალსაჩინო და გასაგებ ობიექტებთან. ერთის შეცნობა ხდება მეორის საშუალებით, თუ მათ აქვთ რაღაც საერთო საფუძველი. საგნებსა და მოვლენებს შორის საერთოს, ასევე განსხვავების და საწინააღმდეგოს დადგენა, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გარშემომყოფთა სტრუქტურირება, მოვახდინოთ მრავალფეროვანი საგნების კლასიფიკაცია და ამ გზით სამყარო ვაქციოთ შეცნობისათვის ხელსაყრელად.

დაპირისპირება შესაძლებელია რეალიზებული იქნეს შემდეგი საშუალებით: (1) შედარებით მსგავსების, საერთო თვისებების და ხარისხის ძიების საფუძველზე, და (2) დაპირისპირებით განსხვავების ძიების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ანალოგია მეტყველებაში წარმოგვიდგება ისეთი რიტორიკული ტოპების საშუალებით, როგორიცაა შედარება და მეტაფორა, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო სიტყვის გამოხატულება შექმნის საშუალებას, არამედ ასევე სამყაროს შეცნობის უნივერსალურ წესს. დაპირისპირება გამოიყენება ყველა ისეთი რიტორიკული ამოცანის გადაჭრისას, როგორიცაა: აღწერა, განსჯა და მტკიცებულება.

♦ მაგალითად, ჩვენ ერთმანეთს ვუდარებთ კვლევის ლოგიკურ და არალოგიკურ მეთოდებს, ვხსნით მათ პრინციპულ განსხვავებას. ლოგიკური მეთოდები დაფუძნებულია ფორმალურ და მათემატიკურ ლოგიკაზე და წარმოადგენს ნიშანსიმბოლურ სისტემას, რომელიც ასახავს მეცნიერული შემეცნების ინსტრუმენტებსა და შედეგებს. არალოგიკური მეთოდები წარმოადგენენ ლოგიკური მეთოდების ერთგვარ ანტიპოდს და თავისი სტრუქტურით დაკავშირებულნი არ არიან ფორმალურ და მათემატიკურ ლოგიკასთან.

დაპირისპირება გამოიყენება ევრისტიკის, როგორც ამოცანების გადაჭრის სპეციალური მეთოდების ერთობლიობის დახასიათებისას. ევრისტიკული მეთოდები, ჩვეულებრივ, უპირისპირდება გადაჭრის ფორმალურ მეთოდებს, ეყრდნობა რა ზუსტ მათემატიკურ მოდელებს. ევრისტიკული მეთოდების გამოყენება ამცირებს ამოცანის გადაჭის დროს, თუმცა მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, არ წარმოადგენს საუკეთესოს და მიეკუთვნება მხოლოდ მრავალ შესაძლო გადაწყვეტილებას.

აზრობრივი მოდელი „მიზეზი - შედეგი" წარმოადგენს „იდეების გამრავლების" და მეტყველების თემის ხორცშესხმის ერთ-ერთ

უნივერსალურ წესს. მიზეზის კატეგორია ენაში არსებობს როგორც ერთ-ერთი „უმაღლესი" ენობრივი კატეგორია, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ როგორც საკუთარი ყოველდღიური ქცევითი მეტყველების პრაქტიკაში, ისე სამეცნიერო გამოკვლევებში. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია არგუმენტაციის პროცესში, რამდენადაც შეუძლებელია ნებისმიერი მტკიცებულების აგება თანმიმდევრული და ზუსტი არგუმენტაციით, ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობის მიზეზების სწორად განსაზღვრისა და შესაძლო შედეგების გაანალიზების გარეშე.

♦ მაგალითად, სამეცნიერო კვლევის ამოსავალ მომენტს წარმოადგენს პრობლემის გამოვლენა. ზოგადად, ტერმინით „პრობლემა" გაიგება ობიექტის სასურველ და რეალურ მდგომარეობას შორის განსხვავება. სწორედ არსებული განსხვავების აღმოფხვრის სურვილი წარმოადგენს კვლევის დაწყების მასტიმულირებელ მომენტს, იმპულსს, ანუ მიზეზს. ეს მიზეზი ბადებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირების მთელ ჯაჭვს, რომლებიც იხსნება კვლევის გეგმის აგებისას, ანუ იმის განსაზღვრისას, თუ რა გზით არის აუცილებელი სიარული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთი შედეგი არის მიდგომის შერჩევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ პრობლემის სრული ან ნაწილობრივი გადაჭა. მაგრამ ეს არჩევანი კვალს ამჩნევს კვლევის შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს, ე.ი. წარმოადგენს მათ მიზეზს.

აზრობრივი მოდელი „გარემოება" საშუალებას გვაძლევს განვავრცოთ თემა, გავაფართოვოთ სიტყვის (გამოსვლის, საუბრის) შინაარსი იმ ადგილისა და დროის პირობების გააზრების შედეგად, რომელშიც შესაძლებელია იმყოფებოდეს კვლევის ობიექტი. განხილული აზრობრივი მოდელის რეალიზაცია ითვალისწინებს კითხვებზე პასუხს: სად, როდის, როგორ, რანაირად? აზრობრივი მოდელი - „გარემოება" გამოიყენება ბიზნესის გაძღოლის პირობების კვლევისას.

♦ აზრობრივი მოდელის უფრო ღრმად გაგებისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ორგანიზაცია იმყოფება არამდგრად და დინამიურად ცვალებად გარემოში, რომელიც ხასიათდება საქმიანობის, მომსახურებისა და პროდუქციის, მოწყობილობების, ტექნოლოგიის ახალი მიმართულებების გამოჩენით, ცვლილებებით მოწოდების სქემაში. კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ლტოლვა მუდმივად ცვლებად გარემოში ორგანიზაციას აიძულებს გადახედოს საკუთარ საქმიანობას. ბიზნესის გაძღოლის პირობები საკუთარ მოთხოვნებს უყენებს ბიზნეს-სტრუქტურებს, ქმნის სტიმულებს ორგანიზაციის საქმიანობაში ცვლილებების შესატანად.

დასკვნა არსებული მდგომარეობიდან შესაძლებელია გაკეთდეს „მიზეზი-მოქმედება" ტოპის გამოყენების საფუძველზე: ამ მიზეზით ცვლილების პროცესი უწყვეტია და წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს კომპანიის მიზნების რეალიზაციისას. ცვლილებების მართვისადმი ძირითად მოთხოვნებს განეკუთვნება ორგანიზაციის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური შესაბამისობის უზრუნველყოფა შიდა და გარე სამყაროს დინამიური ფუნქციონირების პირობებში.

აზრობრივი მოდელები „მაგალითი" და „მტკიცებულება" ეფუძნება კონკრეტულობის და სიახლოვის პრინციპებს. მაგალითები უნდა შეესაბამებოდეს საკვლევ პრობლემას, აღქმის უნარს და აუდიტორიის გაგებას.

„მტკიცებულება" ან „მაგალითი" არის რიტორიკული ტოპი, რომელიც „საერთო ადგილის" მაგალითის მსგავსია და უნდა ითვალისწინებდეს შერჩეული ავტორიტეტის წონადობას, ავტორი და წყარო რომელსაც მიმართავს ორატორი, უნდა იყოს ავტორიტეტული არა მარტო გამომსვლელისთვის, არამედ იმ აუდიტორიისათვის, რომელსაც მიმართავს ორატორი. აზრობრივი მოდელები „მტკიცებულება" და „მაგალითი" გამოიყენება, უწინარეს ყოვლისა, როგორც არგუმენტები მტკიცებულების სტრუქტურაში. მაგრამ, არცთუ ისე იშვიათად ეს აზრობრივი მოდელები ასრულებენ რიტორიკული მაგალითის ფუნქციას და მოწოდებულნი არიან აუდიტორიის ინტერესის გასააქტიურებლად.

თითოეული მოდელი - ტოპი ისწრაფვის საკუთარი ადგილის დაკავებას, ანუ გარკვეული პოზიციის მოპოვებას ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების საერთო სტრუქტურაში. მაგალთად „განსაზღვრება" თავსდება, როგორც წესი, სიტყვის დასაწყისში, „მიზეზები" წინ უსწრებს „შედეგებს", „მაგალითები" მოყვება თეზისებს და განამტკიცებს მათ, „მტკიცებულებას" უკავია „მოსაზღვრე პოზიციები" და უზრუნველყ-

ოფს გადასვლას შესავალიდან სიტყვის ძირითად ნაწილში ან ძირითადი ნაწილიდან დასკვნებში და ა.შ.

ამრიგად, რიტორიკა და ტოპიკა წარმოადგენენ სამეცნიერო შედეგების, დისკუსიების და სამეცნიერო ანგარიშების, როგორც მკვლევართა მიერ მიღებული სხვადასხვა ცოდნის გადმოცემის საფუძველს. რიტორიკის ძირითადი კანონები და ტოპების სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელები გამოიყენება სამეცნიერო პუბლიკაციების, სამეცნიერო ნაშრომების დაწერისას და ქმნის სამეცნიერო შრომების სტრუქტურულ კარკასს.

დასკვნა

1. სიტყვა „მეცნიერება" ლათინური წარმოშობისაა და ქართულად ნიშნავს ცოდნას. მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანები ცოდნას განსხვავებული გზით იძენდნენ. მეცნიერული მიდგომა არ არის ერთადერთი მიდგომა, რომლითაც ადამიანებმა სცადეს ჩასწვდომოდნენ გარემოსა და საკუთარ თავს. სამი სხვა ზოგადი მიდგომაც ემსახურებოდა ცოდნის შეძენას: (1) ავტორიტარული მოდელი; (2) მისტიკური მოდელი; (3) რაციონალისტური მოდელი.

ავტორიტატული მოდელის მიხედვით ადამიანები ცოდნას ეძიებენ იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც სოციალურად ან პოლიტიკურად ცოდნის მწარმოებლებად ითვლებიან. მისტიკური მოდელში ჭეშმარიტების მაძიებელნი ცოდნას იღებენ ზებუნებრივი ავტორიტეტებისაგან, წინასწარმეტყველებისაგან, მედიუმებისაგან. რაციონალისტური მოდელის მიხედვით, ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით.

2. მეცნიერული მიდგომა ემყარება რამდენიმე საბაზისო დაშვებას: (1) ბუნება არის მოწესრიგებული; (2) ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ბუნებას; (3) ბუნების ყოველ ფენომენს ბუნებრივი მიზეზი აქვს; (4) არაფერია თვითდამადასტურებელი; (5) ცოდნა მომდინარეობს გამოცდილების შეძენიდან; (6) ცოდნა სჯობს უმეცრებას.

მეცნიერული მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები ემყარება ჭეშმარიტების საცდელ და ფარდობით ბუნებას: ძლიერი მხარეა ის, რომ რაციონალური ადამიანი დროის ხანგრძლივ პერიოდში ასწორებს საკუთარ შეცდომებს, სისუსტეა ის, რომ მეცნიერები არ ენდობიან საკუთარი მტკიცებების სისწორეს და მეცნიერება ხშირად უმწეოა, როცა მის ბასტიონებს რწმენის აბსოლუტური სისტემების გულმოდგინე მიმდევრები უტევენ.

3. ნებისმიერი (მათ შორის, ბიზნესის) მეცნიერების საბოლოო მიზანია დადასტურებული ცოდნის ჩამოყალიბება. ასეთი ცოდნა გვაძლევს ფაქტების ახსნის, პროგნოზების შემუშავების და ემპირიული ფენომენების გაგების საშუალებას, რომლებიც ჩვენი ინტერესის საგანია. შესაბამისად, მეცნიერული ცოდნის სამი ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა: მეცნიერული ახსნა, პროგნოზი და გაგება.

4. ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკურ (მათ შორის, ბიზნესის) მოვლენათა სამყაროს იკვლევს მრავალი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მასში იმ განყოფილების გამოყოფა, რომლის სახელწოდებაცაა ეკონომიკური მეთოდოლოგია. სწორედ ამ განყოფილების ფარგლებში წარმოგვიდგენია „ბიზნესის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსი. აღნიშნულ კურსს, გასაგები მიზეზების გამო, არ შეუძლია მოიცვას ეკონომიკური მეთოდოლოგიის მთელი არსენალი. იგი ექვემდებარება გაცილებით უფრო კონკრეტულ ამოცანას: შეუქმნას სტუდენტებს წარმოდგენა ბიზნესის კვლევის ძირითად მეთოდებზე. მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ შეადგენს ეკონომიკური აზრის მთელი მეთოდოლოგიის მხოლოდ ნაწილს, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანსა და არსებითს.

5. ბიზნესის მეცნიერებაში, სოციოლოგიური მეცნიერების ანალოგიურად, ფაქტობრივი ცოდნის დასაბუთებულობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას სამ დონეზე: მსოფლმხედველობრივად, თეორიულად და პროცედურულად. მსოფლმხედველოებრივი დონე გულისხმობს მთელი ბიზნესის ცოდნის ზოგად, ფუნდამენტურ დასაბუთებულობას. თეორიულ დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის თეორიის მდგომარეობასა და დამუშავებულობას, მის უნარს, სწორად მოახდინოს ბიზნესის ფაქტების ინტერპრეტირება და მათი ჩართვა თავის პრობლემურ არეალში. პროცედურულ დონეზე დასაბუთდება კვლევის პროცედურათა, ანუ ბიზნესის ცოდნის მიღების ხერხებისა და საშუალებების სისწორე. ეს არის ცოდნის სისტემა მეთოდებისა და ტექნიკური ხერხების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო და მდგრად ფაქტობრივ ცოდნას.

ბიზნესის ცოდნის დასაბუთების სამივე დონე (მსოფლმხედველობრივი, თეორიული და პროცედურული) ერთობლიობაში ქმნის ნებისმიერი ბიზნესის კვლევითი პროგრამის კონცეპტუალურ კარკასს, ანუ ბიზნესის პარადიგმას.

6. ახალი ცოდნის ფორმირება ეფუძნება კომუნიკაციური ურთიერთქმედების სხვადასხვა სახის გამოყენებას, რომელსაც, პირველ რიგში, მიეკუთვნება ზეპირი და წერილობითი სიტყვა, ბუნებრივი და ხელოვნური ენები. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ადამიანებს შორის მეცნიერული ცოდნის გაცვლის პროცესში გამოიყენება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. მათ შორის, მნიშვნელოვან მეცნიერულ როლს თამაშობს ზეპირი და წერილობითი სიტყვის ფორმირებისა და აგების შესახებ დისციპლინები, რომელთაგან შესაძლებელია გამოვყოთ ტრადიციული რიტორიკა („მეცნიერება კარგი სიტყვის შესახებ").

რიტორიკა და ტოპიკა წარმოადგენს სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ანგარიშების, როგორც მკვლევართა მიერ მიღებული სხვადასხვა ცოდნის გადმოცემის საფუძველს. რიტორიკის ძირითადი კანონები და ტოპების სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელები გამოიყენება სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისას და ქმნის ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურულ კარკასს.

საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის

1. ავტორიტატული მოდელი
2. გაგება
3. დედუქციური ახსნა
4. ემპათიური გაგება
5. ინდუქციური ახსნა
6. მეცნიერება
7. მეცნიერული ახსნა
8. მეცნიერული მიდგომა
9. მისტიკური მოდელი
10. პრედიქტული გაგება
11. პროგნოზი
12. რაციონალისტური მოდელი
13. რიტორიკა
14. ტოპიკა

საკონტროლო კითხვები და დავალებები

1. დაასახელეთ და დაახასიათეთ ცოდნის მიღების ისტორიაში ცნობილი მიდგომები (მოდელები).
2. განმარტეთ ცოდნისადმი მეცნიერული მიდგომის საბაზო დაშვებები.
3. დაასახელეთ და დაახასიათეთ მეცნიერული ცოდნის ძირითადი კომპონენტები.
4. წარმოადგინეთ ცოდნისადმი მეცნიერული მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები.
5. განასხვავეთ მეცნიერული ახსნის ორ საბაზისო ტიპი - დედუქციური ახსნა და ალბათური (ინდუქციური) ახსნა.
6. განმარტეთ გაგების ორი რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა - ემპათიური გაგება და პრედიქტული გაგება.
7. განსაზღვრეთ „ბიზნესის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსის ადგილი ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში.
8. განმარტეთ ბიზნესის მეცნიერებაში ფაქტობრივი ცოდნის დასაბუთებულობის პრობლემის გადაჭრის სამი დონე: მსოფლმხედველობრივი, თეორიული და პროცედურული.
9. დაახასიათეთ რიტორიკის საგნისა და ამოცანის განმარტებაში ჩამოყალიბებული ორი ძირითადი მიმართულება.
10. განსაზღვრეთ რიტორიკის როლი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ადამიანებს შორის მეცნიერული ცოდნის გაცვლის პროცესში.
11. სასწავლო სახელმძღვანელოს ტექსტიდან მოიყვანეთ აზრობრივი მოდელების (ტოპების) საილუსტრაციო მაგალითები.
12. განსაზღვრეთ, როგორ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბიზნესის ფაქტების არასწორმა ინტერპრეტირებამ და როგორ შეიძლება ეს აისახოს მკვლევარის დასკვნებზე.

საგამოცდო ტესტები

1. ცოდნის მიღების ავტორიტარული მოდელის მიხედვით:

ა. ადამიანები ცოდნას ეძიებენ იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც სოციალურად ან პოლიტიკურად ცოდნის მწარმოებლებად ითვლებიან;

ბ. ჭეშმარიტების მაძიებელნი ცოდნას იღებენ ზებუნებრივი ავტორიტეტებისაგან, წინასწარმეტყველებისაგან, მედიუმებისაგან;

გ. ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით;

დ. მეცნიერული მიდგომა არის ერთადერთი მიდგომა, რომლითაც ადამიანებმა სცადეს ჩასწვდომოდნენ გარემოსა და საკუთარ თავს.

2. ცოდნის მიღების მისტიკური მოდელის თანახმად:

ა. ადამიანები ცოდნას ეძიებენ იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც სოციალურად ან პოლიტიკურად ცოდნის მწარმოებლებად ითვლებიან;

ბ. ჭეშმარიტების მაძიებელნი ცოდნას იღებენ ზებუნებრივი ავტორიტეტებისაგან, წინასწარმეტყველებისაგან, მედიუმებისაგან;

გ. ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით;

დ. ცოდნის ფორმები ჩვენი პიროვნული გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად არსებობს.

3. ცოდნის მიღების რაციონალისტური მოდელის თანახმად:

ა. ადამიანები ცოდნას ეძიებენ იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც სოციალურად ან პოლიტიკურად ცოდნის მწარმოებლებად ითვლებიან;

ბ. ჭეშმარიტების მაძიებელნი ცოდნას იღებენ ზებუნებრივი ავტორიტეტებისაგან, წინასწარმეტყველებისაგან, მედიუმებისაგან;

გ. ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით;

დ. მეცნიერული მიდგომა არის ერთადერთი მიდგომა, რომლითაც ადამიანებმა სცადეს ჩასწვდომოდნენ გარემოსა და საკუთარ თავს.

4. მეცნიერული მიდგომის საბაზისო დაშვებებს არ მიეკუთვნება:

ა. ბუნება არის მოწესრიგებული;

ბ. ბუნების ყოველ ფენომენს ბუნებრივი მიზეზი აქვს;

გ. ცოდნის მიღება შესაძლებელია ლოგიკის ფორმებისა და წესებისადმი მკაცრი ერთგულებით;

დ. ცოდნა მომდინარეობს გამოცდილების შეძენიდან.

5. საბაზო დაშვება - „ცოდნა სჯობს უმეცრებას" - მიეკუთვნება:

ა. ავტორიტარულ მიდგომას;

ბ. მისტიკურ მიდგომას;

გ. მეცნიერულ მიდგომას;

დ. რაციონალისტურ მიდგომას.

6. დაშვება - „ცოდნის ფორმები ჩვენი პიროვნული გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად არსებობს" - მიეკუთვნება:

ა. ავტორიტარულ მიდგომას;

ბ. მისტიკურ მიდგომას;

გ. აბსტრაქტულ მიდგომას;

დ. რაციონალისტურ მიდგომას.

7. დაშვება - „ადამიანის გონებას შეუძლია ჩასწვდეს სამყაროს მისი დაკვირვებადი ფენომენებისაგან დამოუკიდებლად" - მიეკუთვნება:

ა. ავტორიტარულ მიდგომას;

ბ. მისტიკურ მიდგომას;

გ. აბსტრაქტულ მიდგომას;

დ. რაციონალისტურ მიდგომას.

8. საბაზო დაშვება - „ბუნების ყოველ ფენომენს ბუნებრივი მიზეზი აქვს" - მიეკუთვნება:

ა. მეცნიერულ მიდგომას;

ბ. მისტიკურ მიდგომას;

გ. ავტორიტარულ მიდგომას;

დ. რაციონალისტურ მიდგომას.

9. ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ადამიანებს შორის მეცნიერული ცოდნის გაცვლის პროცესში გამოიყენება:

ა. მეთოდები, მოდელები, კანონები და კანონზომიერებები;

ბ. კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები;

გ. სამეცნიერო იდეები ან კონცეფციები;

დ. ჩამოყალიბებული პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციები.

10. ჩამოთვლილთაგან ვინ არ არის აღიარებული რიტორიკის თეორიტიკოსად:

ა. სოკრატე;

ბ. არისტოტელე;

გ. ციცერონი;

დ. სტრატონ ლამფსაკოსელი.

11. რიტორიკის საგნისა და ამოცანის განმარტებაში ჩამოყალიბებული პირველი ძირითადი მიმართულების ფუძემდებლად გვევლინება:

ა. სოკრატე;

ბ. სტრატონ ლამფსაკოსელი;

გ. არისტოტელე;

დ. ფილონ ალექსანდრიელი.

12. რიტორიკის საგნისა და ამოცანის განმარტებაში ჩამოყალიბებული მეორე ძირითადი მიმართულება სათავეს იღებს:

ა. ადრასტოს აფროდისიელიდან;

ბ. სტრატონ ლამფსაკოსელიდან;

გ. არისტოტელედან;

დ. ფილონ ალექსანდრიელიდან.

13. რიტორიკის მეცნიერულ დისციპლინად გარდაქმნის ფუძემდებლად გვევლინება:

ა. ანაქსაგორა;

ბ. სოკრატე;

გ. არისტოტელე;

დ. დემოკრიტე.

14. „ლიტერატურული" რიტორიკის ფუძემდებლად ითვლება:

ა. თალეს მილეტელი;

ბ. სოკრატე;

გ. არისტოტელე;

დ. ჰერაკლიტე ეფესელი.

15. კარგი სიტყვისა და ხარისხიანი ტექსტის შექმნის, გადმოცემისა და აღქმის კანონზომიერებებს სწავლობს:

ა. გნოსეოლოგია;

ბ. რიტორიკა;

გ. ლინგვისტიკა;

დ. ლოგიკა.

16. „ლოგიკური" მიმართულების თვალსაზრისით, რიტორიკა წარმოადგენს:

ა. მეცნიერებას მეთოდების, წესების, დარწმუნების ფორმების და აუდიტორიაზე ენით ზემოქმედების პრინციპების, ეფექტური კომუნიკაციის არსის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღებას;

ბ. ფილოსოფიურ დისციპლინას, რომელიც მიმართულია მხატვრული მეტყველების აგების მეთოდების შესწავლაზე და ახლო შეხებაშია პოეტიკასა და სტილისტიკასთან;

გ. მჭევრმეტყველების პრაქტიკულ სწავლებას;

დ. კარგი სიტყვისა და ხარისხიანი ტექსტის შექმნის, გადმოცემისა და აღქმის კანონზომიერებებს.

17. კერძო რიტორიკა განიხილავს:

ა. კარგი სიტყვის აგების უნივერსალურ პრინციპებსა და წესებს, რომელიც არ არის დამოკიდებილი სიტყვიერი კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროზე;

ბ. კარგი სიტყვისა და ხარისხიანი ტექსტის შექმნისა და გადმოცემის კანონზომიერებებს;

გ. ცალკეული სახის სიტყვიერი კომუნიკაციის თავისებურებებს კომუნიკაციის პირობებთან, მეტყველების ფუნქციებთან და ადამიანის საქმიანობის სფეროებთან კავშირში;

დ. კარგი სიტყვის აგების უნივერსალურ პრინციპებსა და წესებს, რომელიც დამოკიდებილია სიტყვიერი კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროზე.

18. ზოგადი რიტორიკა წარმოადგენს მეცნიერებას:

ა. კარგი სიტყვის აგების უნივერსალური პრინციპებისა და წესების შესახებ, რომელიც არ არის დამოკიდებილი სიტყვიერი კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროზე;

ბ. კარგი სიტყვისა და ხარისხიანი ტექსტის შექმნისა და გადმოცემის კანონზომიერებების შესახებ;

გ. ცალკეული სახის სიტყვიერი კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ;

დ. კარგი სიტყვის აგების უნივერსალური პრინციპებისა და წესების შესახებ, რომელიც დამოკიდებილია სიტყვიერი კომუნიკაციის კონკრეტულ სფეროზე.

19. თეორიული რიტორიკის ამოცანას წარმოადგენს:

ა. ხარისხიანი სიტყვის აგების წესების კვლევა;

ბ. სხვადასხვა სახის მეტყველების ერთი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანება;

გ. ზეპირი სიტყვის წესების, კანონზომიერებების და ნიმუშების კვლევა;

დ. სხვადასხვა სახის მეტყველების სამი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანება.

20. გამოყენებითი რიტორიკა ორიენტირებულია:

ა. ხარისხიანი სიტყვის აგების წესების კვლევაზე;

ბ. სხვადასხვა სახის მეტყველების ერთი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანებაზე;

გ. სხვადასხვა სახის მეტყველების ორი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანებაზე;

დ. ზეპირი სიტყვის წესების, კანონზომიერებების და ნიმუშების გამოყენებასა და გავრცელებაზე, რომლებიც გამოვლინდება თეორიული კვლევისას და ზეპირმეტყველების სწავლების პრაქტიკაში.

21. თემატური რიტორიკა განიხილავს:

ა. ხარისხიანი სიტყვის აგების წესებს;

ბ. სხვადასხვა სახის მეტყველების ერთი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანებას;

გ. სხვადასხვა სახის მეტყველების ორი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანებას;

დ. ზეპირი სიტყვის კანონზომიერებების და ნიმუშების გამოყენებასა და გავრცელებას.

22. რიტორიკის კანონები ანუ წესები ვარაუდობს:

ა. ხარისხიანი სიტყვის აგების წესების არსებობას;

ბ. სხვადასხვა სახის მეტყველების ორი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ გაერთიანებას;

გ. სიტყვის რიტორიკული დამუშავების დადგენილი ეტაპებისა და ნაწილების არსებობას;

დ. ზეპირი სიტყვის კანონზომიერებების და ნიმუშების გამოყენებასა და გავრცელებას.

23. დარწმუნებისათვის მასალების მოძიებას, საკვლევი თემის განსაზღვრას, მის გახსნასა და შეცნობას, არგუმენტების ფორმულირებას დასაცავი თეზისის სასარგებლოდ ეყრდნობა:

ა. ინვენცია (invention);

ბ. დისპოზიცია (disposition);

გ. ელოკუცია (elocutio);

დ. მეხსიერება, დამახსოვრება (memorio).

24. ორატორის უშუალო გამოსვლას მსმენელების წინაშე მომზადებული მოხსენებით,

სიტყვით, პრეზენტაციით ითვალისწინებს:
ა. მეხსიერება, დამახსოვრება (memorio);
ბ. დისპოზიცია (disposition);
გ. ელოკუცია (elocutio);
დ. შესრულება, წარმოთქმა (actio).

25. მოძღვრება სიტყვის კომპოზიციის შესახებ საფუძვლად უდევს:
ა. მეხსიერებას, დამახსოვრებას (memorio);
ბ. დისპოზიციას (disposition);
გ. ელოკუციას (elocutio);
დ. შესრულებას, წარმოთქმას (actio).

26. რიტორიკის ნაწილს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლინგვისტურ პრობლემატიკასთან, წარმოადგენს:
ა. მეხსიერება, დამახსოვრება (memorio);
ბ. დისპოზიცია (disposition);
გ. ელოკუცია (elocutio);
დ. შესრულება, წარმოთქმა (actio).

27. ჩამოთვლილ ოთხ კრიტერიუმს - სისწორეს, სიცხადეს, გამოთქმასა და მიზანშეწონილობას უნდა პასუხობდეს:
ა. მეხსიერება, დამახსოვრება (memorio);
ბ. დისპოზიცია (disposition);
გ. ელოკუცია (elocutio);
დ. შესრულება, წარმოთქმა (actio).

28. მეტყველების საგანზე, მის ზოგად და კერძო მახასიათებლებზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს აზრობრივი მოდელი:
ა. „დაპირისპირება";
ბ. „თვისება";
გ. „მთლიანი - ნაწილი";
დ. „ზოგადი - კერძო".

29. აზროვნების ლოგიკას და სიტყვის აგების ლოგიკას უწოდებენ:
ა. ტოპიკას (Topos);
ბ. დისპოზიციას (disposition);
გ. ელოკუციას (elocutio);
დ. შესრულებას, წარმოთქმას (actio).

30. ტოპები, როგორც სტრუქტურულ-აზრობრივი მოდელები, არის:
ა. ობიექტური და დათვლადი;
ბ. სუბიექტური და დაუთვლადი;
გ. ობიექტური და დაუთვლადი;
დ. სუბიექტური და დათვლადი.

31. მეტყველების თემის ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს აზრობრივი მოდელი:
ა. „დაპირისპირება";
ბ. „თვისება";
გ. „განმარტება";
დ. „ზოგადი - კერძო".

32. სიტყვის შიდა ბრუნვის ფორმასთან, ამა თუ იმ სიტყვის (სახელის) წარმოშობასთან , ან სიტყვის მნიშვნელობის განხილვასთან არის დაკავშირებული აზრობრივი მოდელი:
ა. „დაპირისპირება";
ბ. „თვისება";
გ. „განმარტება";
დ. „სახელი".

33. საკვლევი ობიექტის არსებითი და სპეციფიკური მახასიათებელი თვისებების, ფუნქციების, ხარისხის გამოყოფის და საკუთარი აზრის, საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა აზრობრივი მოდელი:
ა. „დაპირისპირება";
ბ. „თვისება";
გ. „განმარტება";
დ. „სახელი".

34. სამეცნიერო მეთოდის სიმკაცრეში იგულისხმება:
ა. სამეცნიერო შედეგის მიღწევა მინიმალური ქმედებების შედეგად;
ბ. რამოდენიმე ნაბიჯის შედეგად პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა;
გ. შიდა თანმიმდევრულობა, თეორიაში არსებულ მტკიცებულებათა აზრობრივი შესაბამისობა;
დ. მისი რაციონალურობა, დასაბუთებულობა, თეორიული აგებულების ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობა.

35. სამეცნიერო მეთოდის ევრისტიკულობა გულისხმობს:
ა. მის უნარს ახალი შედეგის (ცოდნის) მიღებისა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ან გავრცელებული იქნეს მოცემული მეცნიერების ახალ სფეროში ან ცოდნის სხვა სფეროებში;
ბ. რამოდენიმე ნაბიჯის შედეგად პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას;
გ. შიდა თანმიმდევრულობას, თეორიაში არსებულ მტკიცებულებათა აზრობრივ შესაბამისობას;
დ. მის რაციონალურობას, დასაბუთებულობას, თეორიული აგებულების ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობას.

36. თემის განვრცობის, სიტყვის (გამოსვლის, საუბრის) შინაარსის იმ ადგილისა და დროის პირობების გააზრების შედეგად, რომელშიც შესაძლებელია იმყოფებოდეს კვლევის ობიექტი, გაფართოების საშუალებას გვაძლევს აზრობრივი მოდელი:
ა. „გარემოება";
ბ. „თვისება";
გ. „მთლიანი - ნაწილი";
დ. „ზოგადი - კერძო".

37. კონკრეტულობის და სიახლოვის პრინციპებს ეფუძნება აზრობრივი მოდელები:

ა. „გარემოება” და „თვისება”;

ბ. „მიზეზი - შედეგი” და „დაპირისპირება”;

გ. „მთლიანი - ნაწილი” და „ზოგადი - კერძო”;

დ. „მაგალითი” და „მტკიცებულება”.

38. ქვემოთ დასახელებულ ეკონომიკურ მეცნიერებათაგან ეკონომიკური მეთოდოლოგია მჭიდროდ დაკავშირებულია:

ა. ეკონომიკური თეორია;

ბ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია;

გ. ეკონომიკის ფილოსოფია;

დ. ეკონომიკური ანთროპოლოგია.

39. ბიზნესის ფაქტების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს არ მიეკუთვნება:

ა. სისრულე;

ბ. შესადარისობა;

გ. სარწმუნოება;

დ. მიზანრაციონალურობა.

40. ბიზნესის ფაქტებს გააჩნიათ დასაბუთებულობის შემდეგი სამი დონე:

ა. თეორიული, მსოფლმხედველობრივი, მეთოდური;

ბ. პროცედურული, ემპირიული, თეორიული;

გ. მსოფლმხედველობრივი, თეორიული, პროცედურული;

დ. ემპირიული, თეორიული, მეთოდოლოგიური.